

საქართველოს კანონი

„სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის (პარლამენტის უწყებანი, 1996 წელი, №24-25/3, მუხ. 21) მე-18 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 18. მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების სპორტული

საქმიანობა
წინასწარი პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ადმინისტრაცია, როგორც წესი, უზრუნველყოფს კონტროლს მათში მყოფ პირთა ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, ატარებს აუცილებელ სპორტულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებს, წინასწარი პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების შიგაგანაწესის შესაბამისად უზრუნველყოფს სპორტულ-გამაჯანსაღებელ მეცადინეობათა ჩატარების პირობებს შესაბამისი ინვენტარითა და მოწყობილობით.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2007 წლის პირველი აგვისტოდან.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი